



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი : 2023 წლის 05 და 06 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი : 3 მაისი 2023

1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 412725573

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქუთაისი
იურიდიული მისამართი	ბუხაიძის №9
ფაქტობრივი მისამართი	ბუხაიძის №9
საფოსტო ინდექსი	4600
დანესებულების ვებ-გვერდი	https://mtschoo.ge
დანესებულების ელ-ფოსტა	tchokhanelidze.merabi@gmail.com
დანესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0431 29 77 57
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მერაბ ჭოხონელიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	574246868
ელ-ფოსტა	tchokhanelidze.merabi@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 14/03/2023 MES 2 23 0000291640 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 05 და 06 აპრილი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ელენე კალანდაძე

3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



--	--

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	მუხლი 6/ პუნქტი ა)	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.	მუხლი 6/ პუნქტი ბ)	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 6/ პუნქტი გ)	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი დ)	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი	მუხლი 6 / პუნქტი ე)	☒	☐

4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით			
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	მუხლი 7 / პუნქტი გ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეობისთვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსა და სხვა საფრთხის შემთხვევების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსა და სხვა საფრთხის შემთხვევების ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☐	☒
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ეფესწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☐	☒
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	მუხლი 8 / პუნქტი ა)	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	მუხლი 8 / პუნქტი გ)	☐	☒
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☐	☒
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	ხარვეზი
ქვესტანდარტი		<u>ხარვეზი არ დაფიქსირებულია</u>
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.6.3 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	<u>სამედიცინო კაბინეტის ფართობი შეადგენდეს 12 კვ.მ-ზე ნაკლებს (5 კვ.მ) რაც შეუძლებელს ხდის გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მართივად შეყვანა -გამოყვანას (მათ შორის საკუცით). სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე , უნდა ჰყოლოდა ორი ექიმი, ან ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში ჩანაცვლებულიყო ექთნით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<u>2.6.4</u> წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</u> <u>სკოლაში სწავლობენ ბაღის მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებიან სასკოლო სივრცისგან გაუმიჯნავ (სააქტო დარბაზი) ნაწილში.</u>
	<u>2.6.5</u> კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	<u>სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში და ასევე ყველა საკლასო ოთახში) დამონტაჟებული იყო კამერები და მოსასმენი აპარატები (116 ერთეული), რითაც დარღვეული იყო „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ვინაიდან დაუშვებელია ვიდეომეთვალვალის/მოსმენის განხორციელება საკლასო ოთახში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	2.9 დანესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	<u>დანესებულებას დოკუმენტაციის წარმოების დროს დარღვეული აქვს საქმისწარმოების ნესი.</u>
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	<u>სკოლაში დასაქმებული 20 უსტატუსო მასწავლებელი შერჩეული არ არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შენწყვეტის ნესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის N 174/6 ბრძანების შესაბამისად;</u>
	3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების ნესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების ნესები, ასევე არ არის დამტკიცებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ნესი.</u>
	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გათვორმებულია ხელშეკრულებები	<u>შრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას</u>

VI. რეკომენდაციების შეჯამება

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკვე შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	საგანმანათლებლო პროგრამები	რეკომენდაცია
ქვესტანდარტი	1.1. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.	<u>სკოლამ გაითვალისწინოს ესგ თავი V. მუხლი 21 .6. და ყოველი მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა დაიწყოს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სკოლაში საჭიროებისამებრ ჩატარდეს მიზნობრივი კვლევები, რომლის ანალიზსაც დაეყრდნობა სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება.</u>
	1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	<u>სტანდარტთან უკვე შესაბამისობის მიზნით სკოლამ მიიღო რეკომენდაცია შემაჯამებელ დავალებებში გამოიყენოს საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი მრავალფეროვანი დავალების ტიპები: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, ესე, ცდის ჩატარება, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ.</u>
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტი	2.1.4 სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	<u>სკოლამ ლაბორატორიაში ცდების ჩატარებისთვის განკუთვნილი მაგიდის ზედაპირი შეარჩიოს ისე, რომ იყოს წყალგაუმტარი და სადემინფექციო საშუალებების, მუჟავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელების და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი.</u>
	2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	<u>გაიმიჯნოს ბიბლიოთეკის სივრცისგან კომპიუტერული ლაბორატორია.</u> <u>გაიზარდოს ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებზე ხელმისაწვდომობა , დაიგეგმოს და განახლდეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსების მიზნით სხვადასხვა აქტივობები. სკოლის ბიბლიოთეკა გახდეს მეტად ფუნქციონალური.</u> <u>ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის, შენახვა-გატანისა და ტექნიკური ფუნქციების შეთავსების გარდა ბიბლიოთეკარი ჩაერთოს სასწავლო პროექტებსა და აქტივობებში, რაც მოითხოვს ღონისძიებების მასწავლებლებთან ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.</u> <u>სკოლამ შეიძინოს და ბიბლიოთეკაში განათავსოს მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ 1 ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის; წიგნები დაამონტაჟოს და დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	<u>სკოლის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელი ადაპტირდეს ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.</u>
	2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	<u>ვებ- გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაიცვას პერსონალური მონაცემები ან/და კანონმდებლობის შესაბამისად, მოპოვებული ქონდეს შესაბამისი თანხმობები. ვებ- გვერდის ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.</u> <u>სკოლამ უზრუნველყოს საკლასო ოთახებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელმისაწვდომობა, რაც მისცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს და პედაგოგებს უპასუხონ 21-ე საუკუნის ციფრულ გამოწვევებს;</u>
	2.6.1 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	<u>საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების გეგმა, შეთანხმდეს საქართველოს შსს სდდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	<u>სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმართივდეს გაგება, შეძლოთ თუ არა ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.</u>
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ექვსტანდარტი	3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	<u>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს და დაასაქმოს სკოლის ფსიქოლოგი და მეორე ექიმი.</u>
	3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	<u>სკოლამ იზრუნოს, როგორც პედაგოგიური კადრის ისე სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე, აწარმოოს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას და ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დახმარების მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისის მერიასთან და ახორციელებს მათთვის საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „SOS ბავშვთა სოფელთან“, ყოველწლიურად მათი ბენეფიციარები სასწავლო წელს ამთავრებენ მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში და წარმატებით აგრძელებენ სწავლას სასურველი მიმართულებით.
დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა ისეთი განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის პერიოდში (2020 წლის 30 და 31 ივლისი) გაცემული რეკომენდაციების ნაწილი სკოლას გათვალისწინებული/შესრულებული ჰქონდა. რაც შეეხება ვიდეო სათვალთვალო სისტემების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამონტაჟებას (2023 წლის 5 და 6 აპრილს) ვიზიტის პერიოდში კვლავ საჭიროებს რეკომენდაციას.
---	---

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 900	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/6), განხილულია პედაგოგიური საბჭოს №1 სხდომაზე და დამტკიცებულია ოქმი №1 07.09.2022 სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენს ერთიან დოკუმენტს, სადაც თითოეული შემადგენელი ნაწილია განერილი. სარჩევის, სათაურების, თავების მიხედვით, მარტივია დოკუმენტში ნავიგაცია. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება ათი თავისგან : თავი I. სკოლის მისია , ხედვა , მიზნები და ღირებულებები. თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები. თავი III. ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები. თავი IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება. თავი V. სასკოლო საათობრივი ბაღე. თავი VI. საგანმანათლებლო რესურსები. თავი VII. მოსწავლეთა შეფასების სისტემა. თავი VIII . სავალდებულო და არჩევითი საგნები. თავი IX. ინკლუზიური განათლება.
---	--

17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	თავი X. საგნობრივი სასწავლო გეგმები -- ზოგადი ნაწილი , მიზნები, ამოცანები , შეფასების კომპონენტები. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე სამ საფეხურად: • დანყებით (I-VI კლასები), • საბაზო (VII-IX კლასები), • საშუალო (X-XII კლასები). სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს გამთრის არდადეგები. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთი III – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი; სკოლის მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ პრიორიტეტებად განსაზღვრული აქვს: ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა; მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა კლასებში განსაზღვრულია 16 მოსწავლით. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის სასკოლო საათობრივი ბაღე შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ისწავლება ესგ-ით გათვალისწინებული ყველა საგანი, დღეში 8 საათიანი დატვირთვით. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 10 წთ. 2022-2023 სასწავლო წლის დანყების თარიღია: 2022 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2023 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა; სკოლა დანყებითი კლასის მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებასაც.
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებს აერთიანებს 7 კათედრა: 1. ქართული ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები; 2. მათემატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ჭადრაკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა მასწავლებლები; 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ; 5. უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების მასწავლებლები; 6. დანყებითი საფეხურის, I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. 7. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები. სსგ-ში წარმოდგენილია კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციები, კათედრის მუშაობის მახასიათებლები.
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლაში კათედრების საქმიანობის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტია კათედრების დებულება. კათედრის მიზნები და ამოცანებია: • საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება; • კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; • საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა; • სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოთქმვა და სხვ.); • ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის; • რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. • შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია 2022–2023 სასწავლო წლისათვის სკოლის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვიზიტის პერიოდში შევიდა ცვლილებები და მოვიდა შესაბამისობაში ესგ-ის მოთხოვნებთან: <u>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით: წლიური გამოცდა ინიშნებოდა VII-XII კლასებში საგნის/საგნების მასწავლებლების გადაწყვეტილებით. ესგ-ის მიხედვით, საგნის/საგნების მასწავლებელს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობებინა სკოლაში კონკრეტულ საგანში/საგნებში გამოცდის დანიშვნის შესახებ.</u>
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ესგ-ის მოთხოვნა. წლიური გამოცდის/ების დანიშვნის შემთხვევაში სავალდებულო გახდა, სასწავლო წლის დაწყებამდე განისაზღვროს, თუ რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს სკოლა გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე. თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებული იქნება გამოცდაზე შემატყობილი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება. ასევე სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციით სსგ-დან ამოიღო <u>დანართი 3</u> რომელშიც მოცემული იყო პედაგოგთა პერსონალური მონაცემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების დებულება; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ირიცხება - 895 მოსწავლე. წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. სკოლაში საათობრივი დატვირთვა კლასების მიხედვით ესგ-ის საათობრივი ბადისგან განსხვავებულია, მაგალითად: • ჭადრაკი ისწავლება I- VI კლასებში კვირაში 1 სთ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	• ესთეტიკური აღზრდის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საგნებში სკოლას შემცირებული აქვს საათობრივი დატვირთვა. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შეისწავლონ 3 უცხოური ენა. პირველი უცხოური ენაა ინგლისური, ისწავლება პირველი კლასიდან კვირაში 5 საათიანი დატვირთვით. მეორე უცხოური ენის სტატუსი მინიჭებული აქვთ გერმანულ, რუსულ, ფრანგულ ენებს და მათი შესწავლა მესამე კლასიდან იწყება კვირაში 4 საათიანი დატვირთვით. მესამე უცხოური ენის სახით სკოლა სთავაზობს გერმანულ, რუსულ, ფრანგულ ენებს არჩევითი საგნების ფარგლებში. საგნობრივი პროგრამების კურიკულუმები განერილია ესგ-ის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო საათობრივი ბადე; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი Edupage.org; • კათედრების დებულება; • კათედრების ელექტრონული პორტფოლიოები თემატური გეგმებითა და კურიკულუმები, კომპლექსური დავალებებით; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეათათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ის-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე განწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. მშობელთა სურვილით სკოლაში შესაძლებელია გახანგრძლივებული დღის რეჟიმის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურ მიდგომას ითვალისწინებს და მათ ძირითადი საგნების მომზადებაში უწყობენ ხელს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშეწყობი გარემო.
---	--

23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლის პირადი საქმიანობა; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების სისტემასთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს - დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების სქემა, ურთიერთშეფასების კითხვარი. მოსწავლეები იღებენ სიტყვიერ და წერილობით კომენტარებს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე ელექტრონული ჟურნალითაც. განმსაზღვრელი შეფასებისას სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილ კომპონენტებს: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. დავალების ტიპები: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, ესე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ცდის ჩატარება, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ. საგნობრივი კათედრები განიხილავენ დავალების ტიპებს, რომელიც ასახულია როგორც კათედრის, ასევე მასწავლებლის სამუშაო გეგმაში. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის შემაჯამებელი სამუშაოები შესაბამისი ანალიზის ფორმებითა და ინტერვენციებით. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება და აღდგენის საშუალება ეძლევა სემესტრის ბოლომდე. სკოლის მიერ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. ასევე მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები. შემაჯამებელი დავალებების უმეტესობა ღია და დახურული ტიპის ტესტური დავალებებისაგან შედგება. <u>სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლამ მიიღო რეკომენდაცია გამოიყენოს საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი მრავალფეროვანი დავალების ტიპები: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, ესე, ცდის ჩატარება, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ.</u> სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი.
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები V-XII კლასებში ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე სამინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებსა და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება ხორციელდება ჩათვლის სისტემით ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა და არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. მოსწავლის გაცდენები, განმავითარებელი კომენტარები და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები აღირიცხება მოსწავლეთა საკლასო ელექტრონულ ჟურნალში EDUPAGE. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თუ მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. სასწავლო გეგმის შესაბამისად შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა; • ექსტერნატის გამოცდა;
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს; მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს; ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ენიშნებათ დირექტორის სტიპენდია 1 წლის განმავლობაში. (დირექტორის ბრძ.#03/466) ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ ჟურნალში ადმინისტრატორის ველს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ტიპებსა და ანალიზს. შესწავლილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოების ინტერვიუების შედეგით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ; • სკოლის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • კათედრების პორტფოლიოები, სამუშაო გეგმები, ოქმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება. დებულებაში წარმოდგენილია მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა, მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულო მისაწოდებელი ინფორმაცია, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთა კითხვარი. მშობელთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს დამრიგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	დამრიგებელი ვალდებულია პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, მოაწყოს მშობელთა შეხვედრა მასწავლებლებთან, სადაც განხილული იქნება რა ცოდნა უნდა მიიღოს მოსწავლემ და რას უნდა მიაღწიოს სემესტრისა და წლის ბოლოს. ასევე გაიგოს რაში და როგორ უნდა დაეხმაროს საკუთარ შვილს. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს ასევე უნდა განიხილებოდეს მოსწავლის დისციპლინური პრობლემები თუ წარმატებები. ინფორმაციის გაცვლა ორივე მხარისთვის მეტად საჭიროა. ასეთი შეხვედრის დროს აუცილებელია, მასწავლებელმა შეინარჩუნოს ტაქტი და საუბარმა საქმიანი ხასიათი არ დაკარგოს. წარმატებული კონსულტაციის საინდარი პედაგოგსა და მშობელს შორის თანამშრომლობის, ნდობის და ურთიერთპატივისცემის არსებობაა. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრების და მოსწავლის ქცევის შესახებ საკითხები მასწავლებელმა განიხილოს სხვა მშობლებთან თანდასწრებით. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: • მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა); • ელექტრონული ჟურნალის edupage.org მეშვეობით; • მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; • ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; • სოციალური ქსელის მეშვეობით; • SMS შეტყობინების საფუძველზე; მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან სკოლის დირექტორი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს; გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებიდან დაკავშირებით. მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ კანონიერ მოთხოვნებს და რთავს მოსწავლეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში. სკოლა მშობლებს სთავაზობს გამოკითხვის ფორმებს, რათა გაითვალისწინოს მათი აზრი და მოთხოვნები. გამოკითხვის დროს მშობლებმა პოზიტიურად შეაფასეს სასკოლო გარემო, კლ. დამრიგებლების მუშაობა, მასწავლებლების დამოკიდებულება და კომპეტენცია. მშობელთა ინფორმირებისთვის სკოლა ასევე აქტიურად იყენებს ვებ-გვერდს, სადაც ქვეყნდება სიახლეები სასკოლო ცხოვრების შესახებ. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და ამავდროულად მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ; • მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის დებულება • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023); • სკოლის ვებ-გვერდი; • Edupage; • მშობლის ხელშეკრულება; • მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი დოკუმენტის სახით, რომელიც განხილულია შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის 2022-2023 სასწ. წლის 09.09.2022 № 1 პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. დამტკიცებულია დირექტორის ბრძ № 01/04. დოკუმენტის მიხედვით სსგ-ის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს: 1. სასწავლო პროცესის კონტროლი 2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი და გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას. 3. სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვა, მათი მოლოდინების განსაზღვრა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. 4. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას. სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი ხორციელდება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. სკოლაში ტარდება მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვები. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მთავარი მონაწილის მოსწავლის ჩართულობას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესში. ამ მიზნით ცალკეული საფეხურების მიხედვით ჩატარდება მოსწავლეთა გამოკითხვები სასწავლო წლის განმავლობაში. კლასის დამრიგებლებს ევალებათ ორგანიზება გაუწიონ ამგვარ გამოკითხვებს და შედეგები ანგარიშის სახით წარუდგინონ დირექტორსა და ხარისხის მართვის მენეჯერს. ისინი ვალდებული არიან მოახდინონ გამოკითხვის შედეგების ანალიზი და გაითვალისწინონ შემდგომ საქმიანობაში. აღნიშნული ანალიზის განხორციელება უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის , სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების დასახვას. გარდა
---	--

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	გამოკითხვებისა მასწავლებლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს წარმოდგენილი პედაგოგთა ანგარიშების საფუძველზე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სკოლის კათედრების რეგულარულ შეხვედრებზე განიხილება სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი; • გამოკითხვის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა მდებარეობს ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქ. № 9 მდებარე 1842.00 კვ.მ. შემოღობილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც აშენებულია №1 სამსართულიანი და №2 ექვსსართულიანი შენობა. №1 სამსართულიანი შენობის ფართი შეადგენს 1780.64 კვ.მ. №1 შენობაში სულ არის 54 ოთახი, ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, ბუფეტი, დირექტორის ოთახი, ექიმის ოთახი. №2 ექვსსართულიანი შენობის ფართი შეადგენს 1523.92 კვ.მ. №2 შენობაში სულ არის 49 ოთახი. მეხუთე სართულზე განთავსებულია 336 კვ.მ. სპორტული დარბაზი და ჭადრაკის ოთახი. <u>სკოლის პირველ სართულზე განხორციელებული ცვლილებები (ოთახების გაყოფა/გაერთიანება) არ იყო ასახული შიდა აზომვით ნახაზში, რაც ვიზიტის პერიოდში გასწორდა.</u>
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ქუთაისი, ბუხაიძის №9
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	ს.კ. 03.04.21.087
კვ.მ.	№1 სამსართულიანი შენობის ფართი-1780.64 კვ.მ

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	№2 ექვსართულიანი შენობის ფართი-1523.92 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	03.04.21.087 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო რუკის ელექტრონული ვერსია; - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან; - ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასწავლო და სააღმზრდელო პროგრამების შესაბამისი მატერიალური რესურსი. ორივე შენობაში განთავსებულია 103 საკლასო ოთახი. №1 შენობაში 54 და №2 შენობაში 49 ოთახი. სკოლას აქვს 1009 მერხი, 1150 სკამი. საკლასო ოთახებში დგას მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები. დაფები, თაროები, კარადები და დამხმარე თვალსაჩინოებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	- სასკოლო ინვენტარის ფლობის დოკუმენტები; - სასაქონლო ზედნადებები; - საკადასტრო გადარიცხვის ქვითრები და მიღება-ჩაბარების აქტები; - ვიზუალური დათვალიერება.

34

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
-----------	---

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	№2 ექვსსართულიანი შენობის მეხუთე სართულზე განთავსებულია 336 კვ.მ სპორტული დარბაზი. სკოლას სპორტული აქტივობებისთვის შეძენილი აქვს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადეები, ჰულაჰუპები და სხვ. სპორტულ დარბაზში შესაძლებელია კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის თამაში (დამონტაჟებულია შესაბამისი ინვენტარი). სპორტულ დარბაზს აქვს გასახდელები საშხაპეებით და საპირფარეშოებით. სკოლაში ხშირად ეწყობა როგორც შიდასასკოლო, ისე ამხანაგური სპორტული შეჯიბრებები და მხიარული სტარტები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით. სპორტულ დარბაზში შეღწევა შშმ პირს ძალიან გაუჭირდება, რადგან სპორტული დარბაზი განთავსებულია მეხუთე სართულზე. <u>სკოლას მიეცა რჩევა შშმ პირისთვის დამატებით, ფიზიკური დატვირთვისთვის შეარჩიოს ისეთი სპორტის სახეობები, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნება სკოლის შენობის პირველ სართულზე.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

35

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიას ეთმობა ერთი ოთახი. ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებულია დახურულ კარადებში, გამოკრულია სხვადასხვა თვალსაჩინოება. სასწავლო აქტივობებისთვის დგას დიდი ზომის მაგიდები ინდივიდუალური სკამებით. ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ნიჟარა ონკანით და გამწოვი კარადა. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: ლაბორატორიაში ცდების ჩატარებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი შეარჩიოს ისე, რომ იყოს წყალგაუმტარი და სადემონსტრაციო საშუალებების, მუავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელების და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი. ასევე სკოლას მიეცა რჩევა განაცალკევოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები გამოყენების მხრივ ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერიითი მიმოხილვა და ანალიზი	დანესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით და ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობით. შენობის ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, შესაძლებელია განიავება. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ვიზიტის პერიოდში №2 შენობაში მდებარე საპირფარეშოების ნაწილში არ იყო დამონტაჟებული მექანიკური ჩასარეცხი სისტემა, აღნიშნული ფუნქციის ხელოვნურად შესრულება დავალებული ჰქონდათ საპირფარეშოს დამლაგებლებს. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მხრიდან მიღებული შენიშვნა, ვიზიტის პერიოდში შეიძინა ჩასარეცხი მონწყობილობები და დაინიშნა მონტაჟის პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გათბობის ქვების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • „სოკარ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • სს ენერგო-პრო ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • შპს საქართველოს წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნალი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერიითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა მდებარეობს №1 შენობაში, რეგისტრაციის ურნალის მიხედვით მხატვრული ლიტერატურის რაოდენობა შეადგენს 604 ერთეულს. წიგნადი ფონდის რეგისტრაციის ურნალი დანომრილი, აკინძული და დამონმებულია ბეჭდითა და ხელმოწერით. წარმოდგენილია სკოლის ღირეექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება. სკოლას აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაოდენობა 121 და ანბანური საძიებო კატალოგი. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი. ვიზიტის პერიოდში გადამონმებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან ბიბლიოთეკაში არ ინახებოდა მე-9 და მე-10 კლასის, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნაწილი (მაგ: ქართული ენა და ლიტერატურა, ხელოვნება). <u>სკოლამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიიღო რეკომენდაცია: შეიძინოს და ბიბლიოთეკაში განათავსოს მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ 1 ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის; წიგნები დაამონმოს და დაამუშავოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;</u> ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ექსპერტები გაეცნენ სამუშაოს აღწერილობას, თუმცა ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკარის ადგილზე არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა მასთან ინტერვიუება. სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია მდებარეობს ერთ სივრცეში, რაც ბიბლიოთეკის ფუნქციურ დატვირთვას და წიგნებზე ხელმისაწვდომობას ამცირებს. <u>სკოლამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიიღო რეკომენდაცია: გაიმიჯნოს ბიბლიოთეკის სივრცისგან კომპიუტერული ლაბორატორია. გაიზარდოს ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებზე ხელმისაწვდომობა , დაიგეგმოს და განახლდეს ბიბლიოთეკის წიგნადი</u>
--	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ფონდის შევსებისა მიზნით სხვადასხვა აქტივობები. სკოლის ბიბლიოთეკა გახდეს მეტად ფუნქციონალური. ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის, შენახვა-გატანისა და ტექნიკური ფუნქციების შეთავსების გარდა ბიბლიოთეკარი ჩაერთოს სასწავლო პროექტებსა და აქტივობებში, რაც მოითხოვს ღონისძიებების მასწავლებლებთან ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკართან დადებული ხელშეკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • ბიბლიოთეკის დებულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დაცულია არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შესასვლელი უზრუნველყოფილია პანდუსით. შენობის სართულზე ასასვლელად სკოლას შეძენილი აქვს მოძრავი, ხის პანდუსები. პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერულ ლაბორატორიის შესასვლელ კარში სივინროვიდან გამომდინარე ვერ შეძლებდა გადაადგილებას ეტლით მოსარგებლე პირი, <u>სკოლამ სტანდარტთან უკვე შესაბამისობის მიზნით მიიღო რეკომენდაცია:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელი ადაპტირდეს ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან აქვს : ➤ სკოლის ვებ-გვერდი: https://mtschoo.ge ➤ ელექტრონული ფოსტა: tchokhonelidze.merabi@gmail.com ➤ სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/merabtchokhonelidzeschool სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი edu page ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობის სია: სკოლას აქვს 47 კომპიუტერი, 3 კომბინირებული 2 პრინტერი. 37 კომპიუტერი, პროექტორი და პრინტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. 8 კომპიუტერი გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის
--	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სხვადასხვა კაბინეტში. 5 გამოიყენება ადმინისტრაციის საჭიროებისათვის. დანესებულებას მიეწოდება ინტერნეტი. <u>სკოლას სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს საკლასო ოთახებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელმისაწვდომობა, რაც მისცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს და პედაგოგებს უპასუხონ 21-ე საუკუნის ციფრულ გამოწვევებს;</u> სკოლის ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია სკოლის მისია, სკოლის შესახებ ინფორმაცია, სტრუქტურა, სამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სკოლის სიახლეები. <u>სკოლას სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაიცვას პერსონალური მონაცემები ან/და კანონმდებლობის შესაბამისად, მოპოვებული ჰქონდეს შესაბამისი თანხმობები. ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი ქსელები“ გაფორმებული ხელშეკრულება; • შპს „პრო სერვერ. გე“ დადებული დომენის ფლობის ხელშეკრულება; • კომპიუტერის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა) ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსა და სანაღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ტერიტორიაზე არსებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია გადამუხტული 12 ცეცხლმაქრი და თითო სახანძრო სტენდი შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით. თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების მონაცემები. დამონტაჟებულია საავარიო გასასვლელის მინიშნებები და სახანძრო სიგნალიზაცია. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების გეგმა, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმა შეთანხმდეს საქართველოს შსს სდდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების შესყიდვის დოკუმენტაცია; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი; • უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების წესი; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • პირველადი დახმარების მექანიზმები; • სახანძრო უსაფრთხოების საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის საფუძველზე შედგენილი #240 მინერაილობა; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართულზე, გეგმაზე მითითებულ ადგილას გაკრულია საევაკუაციო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ევაკუაციის გეგმა ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ღირეფქტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების წესი“. აღნიშნული წესი სრულად იდენტურია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/6/01-23/6-ისა. <u>სამედიცინო კაბინეტი მონყოილია შენობის პირველ სართულზე. კაბინეტის ფართობი შეადგენდეს 12 კვ.მ-ზე ნაკლებს (5 კვ.მ) რაც შეუძლებელს ხდის გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მარტივად შეყვანა -გამოყვანას (მათ შორის საკაცით).</u> <u>ვიზიტის პერიოდში სკოლას ექიმი ადგილზე არ ჰყავდა. ღირეფქციის განმარტებით ექიმი გადიოდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსს, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი დანესებულებამ ვერ წარმოადგინა. ექიმის არ ყოფნის პერიოდში მისი მოვალეობა შეთავსებული ჰქონდა ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ექიმს ნაწარმოები ჰქონდა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების ფორმა, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/6/01-23/6-ით განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და თანათარღობა, რომლის თანახმადაც სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე უნდა ჰქონოდა ორი ექიმი, ან ექიმის საკუთარ რესურსის არარსებობის შემთხვევაში ჩანაცვლებულიყო ექთნით. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/6/01-23/6-ით. კერძოდ, სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ბრძანებასთან. რეკომენდებულია სამედიცინო კაბინეტი მოწყობილი იყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე, კაბინეტის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 12 კვ.მ-ს, უნდა არსებობდეს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კედლები და იატაკი უნდა ექვემდებარებოდეს სველი წესით დალაგების შესაძლებლობას. აგრეთვე აუცილებელია გამოაცხადოს სკოლის ექიმის ვაკანსია.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება ექიმთან; • სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები; • ვიზუალური დათვალიერება; • ექიმის სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის ანგარიში; • ექიმთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული ჰქონდა „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი და გაგზავნილი ჰქონდა შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სკოლის დირექციის განმარტებით მათ უკუკავშირი არ მიუღიათ. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენელი დაუკავშირდა რესურსცენტრის თანამშრომელს და წერილობით მიიღო სამინისტროს მიერ გამოგზავნილი რეკომენდაციები შემუშავებულ პროექტთან დაკავშირებით. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, თვალყური ადევნოს და მოახდინოს დროული რეაგირება საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე. გაითვალისწინოს სამინისტროს რეკომენდაციები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნოს სკოლის მიერ კორექტირებული წესი შესათანხმებლად, ასევე გამოაცხადოს სკოლის ფსიქოლოგის ვაკანსია.</u> უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ის ნაკლებად იცნობდა თავის უფლება-მოვალეობებს და მისი საქმიანობას ძირითადად წარმოადგენდა ვიდეოკამერების კონტროლი. <u>უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს მიეცა რჩევა გაეცნოს სკოლის მიერ შემუშავებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლაში სწავლობენ ბალის მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებიან სასკოლო სივრცისგან გაუმიჯნავ (სააქტო დარბაზი) ნაწილში. საბავშვო ბალისთვის არ არის გამოყოფილი ცალკე შესასვლელი, საპირფარეშო, სასადილო და სხვა აუცილებელი ზონები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: გამიჯნოს სასკოლო და ბალის სივრცეები ერთმანეთისგან, გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის უსაფრთხო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი; • გასაუბრება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 8 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში და ასევე ყველა საკლასო ოთახში) დამონტაჟებული იყო კამერები და მოსასმენი აპარატები (116 ერთეული), რითაც დარღვეული იყო „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის/მოსმენის განხორციელება საკლასო ოთახში. აღსანიშნავია, რომ შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცე სრულად არ კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაემატებინა 4 შიდა პერიმეტრის ვიდეო კამერა და მოეხსნა კამერები ყველა საკლასო ოთახიდან. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და დაიწყო ვიდეო კამერების დემონტაჟი ვიზიტის პერიოდში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაასრულოს სრულად კამერების დემონტაჟი კანონმდებლობით აკრძალულ სივრცეებში და თვითნებურად აღარ განახორციელოს მსგავსი მოქმედება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების თაღობის დოკუმენტაცია ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საზოგადოების მართვა, სკოლის დამფუძნებლები, გადანაცვების მიღების წესები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; შრომითი ურთიერთობის პირობებს; შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს; დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს; დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება; • შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც თითქმის ერთმანეთის იდენტურია. ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში არ ჩანს სტრატეგიული მიზნები. <u>სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ასევე გეგმის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება, შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დანესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების წესის მიხედვით, სარეგისტრაციო ურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. საქმისწარმოების ურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამონმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. <u>დანესებულებას დოკუმენტაციის წარმოების დროს დარღვეული აქვს საქმისწარმოების წესი, კერძოდ ურნალებში ნუმერაციის ათვლა არ</u>
--	---

49

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	<u>წარმოებს კალენდარული წლის მიხედვით, არამედ გრძელდება წლების განმავლობაში, თარიღის გრაფაში არ არის მითითებული შესაბამისი წელი.</u> ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, რადგანაც დირექციის განმარტებით ის ოჯახური პირობების გამო არ იმყოფებოდა ადგილზე. ასევე შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც აღმოჩნდა რიგი ხარვეზები, კერძოდ პირად საქმეში არ არის სრულად შეტანილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები და მათში მიღებული შეფასებები, აგრეთვე დარღვეულია მოსწავლის სკოლაში მიღებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი, კერძოდ სკოლამ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის გარეშე პირდაპირ ჩარიცხა მოსწავლე მესამე კლასში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია პირადი საქმეები მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, აგრეთვე მოსწავლის სკოლაში მიღებისას იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასული და შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო უურნალები; • ბრძანებების სარეგისტრაციო უურნალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	• მოსწავლის პირადი საქმეები;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	<u>2.6.(გ)</u> <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/6/01-23/6-ით. კერძოდ, სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიცავნოს შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ბრძანებასთან. რეკომენდებულია სამედიცინო კაბინეტი მონწყობილი იყოს შენობის ყველაზე დაბალ სართულზე, კაბინეტის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 12 კვ.მ-ს. უნდა არსებობდეს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კედლები და იატაკი უნდა ექვემდებარებოდეს სველი წესით დალაგების შესაძლებლობას. აგრეთვე აუცილებელია გამოაცხადოს სკოლის ექიმის ვაკანსია.</u> <u>2.6.(დ)</u> <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, თვალყური ადევნოს და მოახდინოს დროული რეაგირება საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე. გაითვალისწინოს სამინისტროს რეკომენდაციები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნოს სკოლის მიერ კორექტირებული წესი შესათანხმებლად, ასევე გამოაცხადოს სკოლის ფსიქოლოგის ვაკანსია.</u> <u>გამიჯნოს სასკოლო და ბაღის სივრცეები ერთმანეთისგან, გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის უსაფრთხო.</u> <u>2.6.(ე)</u>
-----------------	---

51

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაასრულოს სრულად კამერების დემონტაჟი კანონმდებლობით აკრძალულ სივრცეებში და თვითნებურად აღარ განახორციელოს მსგავსი მოქმედება.</u> <u>2.9.</u> სკოლას მიეცა რეკომენდაცია პირადი საქმეები მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, აგრეთვე მოსწავლის სკოლაში მიღებისას იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით.
რჩევები:	2.1 (გ) სკოლას მიეცა რჩევა შშმ პირისთვის ფიზიკური დატვირთვისთვის შეარჩიოს დამატებით ისეთი სპორტის სახეობები, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნება სკოლის შენობის პირველ სართულზე. (2.1.დ) ასევე სკოლას მიეცა რჩევა განაცალკევოს ლაბორატორიები გამოყენების მხრივ ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. (2.6.დ) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს მიეცა რჩევა გაცნობოდა სკოლის მიერ შემუშავებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. (2.8) სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა მოხდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ასევე გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება;
ხარვეზები:	<u>2.6.(გ)</u> <u>სამედიცინო კაბინეტის ფართობი შეადგენდეს 12 კვ.მ-ზე ნაკლებს (5 კვ.მ) რაც შეუძლებელს ხდის გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მართივად შეყვანა -გამოყვანას (მათ შორის საკაცით).</u> <u>სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე , უნდა ჰყოლოდა ორი ექიმი, ან ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში ჩანაცვლებულიყო ექთნით.</u> <u>2.6.(დ)</u> <u>სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</u> <u>სკოლაში სწავლობენ ბალის მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებიან სასკოლო სივრცისგან გაუმიჯნავ (სააქტო დარბაზი) ნაწილში.</u> <u>2.6.(ე)</u> <u>სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში და ასევე ყველა საკლასო ოთახში) დამონტაჟებული იყო კამერები და მოსასმენი აპარატები (116 ერთეული), რითაც დარღვეული იყო „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<u>ვინაიდან დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის/მოსმენის განხორციელება საკლასო ოთახში.</u> <u>2.9.</u> <u>დანესებულებას დოკუმენტაციის წარმოების დროს დარღვეული აქვს საქმისწარმოების წესი.</u>
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დანესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი		
ქვესტანდარტის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი	მოთხოვნებთან აღწერითი	სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 117 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დანეცებითი საფეხურის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი. აღსანიშნავია რომ სკოლის eSchool-ის ბაზაში ფიქსირდება 2 დამლაგებელი, ხოლო სკოლის სამტატო განრიგით გათვალისწინებულია 7 დამლაგებელი.

54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია: <u>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს და დაასაქმოს სკოლის ფსიქოლოგი და მეორე ექიმი.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პრომითი ხელშეკრულებები; • eSchool-ის ბაზა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	117
მონვეული/მაძიებელი	2
პრაქტიკოსი მასწავლებელი	20
უფროსი მასწავლებელი	89
წამყვანი მასწავლებელი	6
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები (გარდა 20 უსტატუსო მასწავლებლისა) შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში ინახება დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. მათ შორის, რამოდენიმე თანამშრომლის გამოკლებით, არის: ცნობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ნასამართლობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ხოლო რაც შეეხება ცნობას უფლების ჩამორთმევის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე სკოლა ინფორმირებული არ იყო. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია აღნიშნული ცნობების წარდგენის თაობაზე. <u>სკოლაში დასაქმებული 20 უსტატუსო მასწავლებელი შერჩეული არ არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მასწავლებლის საქმიანობის დანაშაულისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის N 174/6 ბრძანების შესაბამისად; (პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომელთაც გაუქმებული აქვთ სტატუსი), რაზედაც სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/6 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დანაშაულისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



ქვესტანდარტის შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი	მოთხოვნებთან აღწერითი სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე არ არის დამტკიცებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს ზემოთ აღნიშნული წესი, რომელშიც განმარტებული იქნება ინფორმაცია კონკურსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, კონკურსის პრინციპების შესახებ. ასევე აღწერილი იქნება კონკურსის გამოცხადების პროცედურა, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის და კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და მათი გამოყენების წესი. შინაგანაწესის მე-13 მუხლი აზუსტებს დისციპლინარული წარმოების წესს, დისციპლინურ გადაცდომებს და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • პრომოთი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დანესებულების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, მაგრამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები: 1) მასწავლებლის ხელშეკრულებები არ არის დადებული შესაბამისი კატეგორიების მიხედვით; 2) არცერთ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება, მაშინ როდესაც საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების მითითებას. ვიზიტის დროს დანესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ხელშეკრულების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. <u>ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და შეიმუშავა ახალი შრომითი ხელშეკრულების ნიმუში.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	აგრეთვე კათედრის ფარგლებში ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებიც. ინტერვიუებისას სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესახებ, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროფესიული განვითარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც <u>სკოლას სტანდარდის უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია:</u> <u>იზრუნოს, როგორც პედაგოგიური კადრის ისე სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე, აწარმოოს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას და ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; • გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; • პედაგოგებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. აკადემიური აქტივობების პარალელურად ხორციელდება აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ-სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ოლიმპიადაში , ჩართული არიან სახვადსხვა ტიპის სპორტულ თუ საგანმანათლებლო აქტივობებში, რაც დასტურდება სკოლაში არსებული სერთიფიკატებით. სკოლას ჰყავს FLEX-ის გამარჯვებული მოსწავლეები. სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დახმარების მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისის მერიასთან და ახორციელებს მათთვის საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „SOS ბავშვთა სოფელთან“ , ყოველწლიურად მათი ბენეფიციარები სასწავლო წელს ამთავრებენ მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში და წარმატებით აგრძელებენ სწავლას სასურველი მიმართულებით. პროფორიენტაციაში ხელშეწყობის მიზნით სკოლა თანამშრომლობს ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციასთან. სკოლა ამაყობს ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეებისა და სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგებით, რომელთა დიდი პროცენტი წარმატებით აბარებს სასურველ უნივერსიტეტში. სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება ეძლევა მონაწილეობით გამოხატოს საკუთარი იდენტობა და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, პედაგოგებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და გაკვეთილების შეფასება, სიახლეების გაზიარება და ერთმანეთთან თანამშრომლობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეებიც და მშობლებიც ხაზგასმით საუბრობდნენ სკოლაში არსებულ პოზიტიურ და თანამშრომლობით ატმოსფეროზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო პროექტები და ღონისძიებების ანგარიშები და მათი ამსახველი ფოტომასალა; • გასაუბრება მოსწავლეებთან; • გასაუბრება მშობლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	• გასაუბრება პედაგოგებთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	<u>3.2.</u> სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელშიც განმარტებული იქნება ინფორმაცია კონკურსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, კონკურსის პრინციპების შესახებ. ასევე აღწერილი იქნება კონკურსის გამოცხადების პროცედურა, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის და კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები. <u>3.3.</u> სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისას გამოცხადდეს კონკურსი და ამ გზით მოხდეს პირის შერჩევა, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ, 21-ე მუხლით და „მასწავლებლის საქმიანობის დანყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის N 174/ნ ბრძანებით დადგენილი პირობები. <u>3.4</u> დაწესებულებამ პრომითი ხელშეკრულებები მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ 1) გათვალისწინებული იქნას საქართველოს პრომის კოდექსით განსაზღვრული პრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები; 2) მასწავლებლის ხელშეკრულებები დაიდოს შესაბამისი კატეგორიების მიხედვით;
-----------------	---

61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.



	3) ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნას პრომის ანაზღაურება, საქართველოს ორგანული კანონის პრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	3.2 <u>სკოლაში დასაქმებული 20 უსტატუსო მასწავლებელი შერჩეული არ არის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მასწავლებლის საქმიანობის დანყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის N 174/6 ბრძანების შესაბამისად;</u> 3.3 <u>სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე არ არის დამტკიცებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი.</u> 3.4 <u>პრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამება პრომის კოდექსის მოთხოვნებს.</u>
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 03.05.2023
გვერდების რაოდენობა 63 გვერდი

63

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.